გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 2

ქ. გარდაბანი

27 აპრილი 2026 წელი.

14:00 სთ.

2026 წლის 27 აპრილს 14:00 საათზე ჩატარდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის N2 სხდომა.

სხდომას უძღვებოდა - კომისიის თავმჯდომარე ლევან ნიჟარაძე.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები:

სამირ ხიალოვი
თორნიკე ქავთარაძე
ისლამ მამედოვი
გუსეინკულუ მუსაევი
ქართლოსი მამულაძე
ზაქირ დაშდამიროვი
ლაშა ქართლოსიშვილი
ხვიჩა ჩიტაშვილი
ილხამ ბაირამოვი

არ ესწრებოდა: ლევანი ბეგლარიშვილი, ზაზა ონიანი, დავით ებილაშვილი,

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის, საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების ხელმძღვანელი - ბესარიონ მაისურაძე;

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი და კენჭი უყარა წარმოდგენილი დღის წესრიგის დამტკიცებას.

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის, პირველი ნაწილის ,,გ“ პუნქტის ,,გ.ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 86-ე მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

განხილულ იქნა :

საკითხი 1 - საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის, პირველი ნაწილის ,,გ“ პუნქტის ,,გ.ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 86-ე მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერის 05 მარტს №18-1826064114 წერილით წარმოდგენილი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ ინფორმაცია კომისიის წევრებს წარუდგინა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის, საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების ხელმძღვანელმა - ბესარიონ მაისურაძემ.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მიმდინარე წლის 27 აპრილს ჩატარებულ სხდომაზე განიხილა და დადებითად შეაფასა წარმოდგენილი ინფორმაცია, გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, დაზუსტებული ასიგნებების შესრულების მაჩვენებლებს. ანგარიში ასევე შეიცავს ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული

ბარჯების შესახებ. სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად მიზანშეწონილად მიაჩნია, გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში განსახილველად გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარე: ლევანი ნიჟარაძე.